

სტიმულირებაზე დაფუძნებული რეგულირება და დაყოფა



NARUC-ის ენერგეტიკის მარეგულირებელი პარტნიორული პროგრამა

*საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ
კომისია*

და

ვერმონთის კომუნალური მომსახურების საბჭო

ავტორი

ჯორჯ იანგი

ვერმონთის კომუნალური მომსახურების საბჭო

2008 წლის 17 დეკემბერი



მიმოხილვა

- ❖ დაყოფა – ბუნაღტერია და სტრუქტურული სეპარაცია
- ❖ სტიმულირებაზე დაფუძნებული რეგულირება
 - სწორი სტიმულების შემუშავება
- ❖ ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების წამახალისებელი პროგრამები



დაყოფა

- ❖ ძირითადად, ვერმონთის ელექტრო და გაზის საწარმოები დაყოფის პრინციპზე არ მუშაობენ
 - საცალო მომხმარებლებს არჩევანი არ აქვთ
 - გაზის საწარმოები ახდენენ ტრანსპორტირებასაც და განაწილებასაც
 - ელექტრო კომპანიები პასუხისმგებელი არიან როგორც გენერაციაზე, ასევე მიწოდებასა და განაწილებაზე



სფეროები, რომლებშიც ვერმონტში დაყოფა განხორციელდა

❖ ელექტრო გადაცემა

- გადაცემის სისტემა ეკუთვნის ცალკე კომპანიას (VELCO) და იგივე ახორციელებს ამ სისტემის ექსპლუატაციას (გარდა ქვე-გადაცემების შეზღუდული მოცულობისა)
- სტრუქტურულად განცალკევებულია
- ტარიფების და ფინანსური საკითხების რეგულირებას ფედერალური მთავრობა (FERC) ახდენს

❖ ვერმონტის ორი ყველაზე დიდი საწარმო აგრეთვე თავაზობს მომხმარებლებს შეზღუდულ მომსახურებას გადაცემის სფეროში

- ძირითადად, ისინი თავიანთი ტერიტორიის მიმდებარედ განლაგებულ მცირე საწარმოებს ემსახურებიან



დანაწილება გაზის სფეროში

- ❖ “ვერმონტ გეზს” აგრეთვე დანაწილებული აქვს გადაცემის ზოგიერთი მომსახურება
 - გადაცემის მომსახურებაზე არსებობს რამოდენიმე ტარიფი (განსხვავებები ეფუძნება იმას, თუ როგორია მომხმარებელი მოთხოვნა სიმძლავრეებზე – მუდმივი თუ შეწყვეტებით)
 - ასეთ მომსახურებას ერთი მომხმარებელი მაინც იყენებს



ფასების სეპარაცია დაყოფისას

- ❖ VELCO-ს გარდა, გაზის და ელექტროენერჯის სექტორის არცერთუ სხვა საწარმო, რომელიც დაწოფის სისტემას იყენებს, არ არის სტრუქტურულად გამოყოფილი
 - არც საბუღალტრო გამოყოფას აქვს ადგილი
 - დაყოფილი მომსახურებების ღირებულების გათვალისწინება ტარიფების შემუშავებისას ხდება
- ❖ ვერმონთ დაყოფის გაცილებით დიდი გამოცდილება ტელეკომუნიკაციების სფეროში გააჩნია – თუმცა სტრუქტურული გამოყოფა აქაც უცხო ხილია



სტიმულებზე დაფუძნებული რეგულირება

- ❖ მარეგულირებელი მექანიზმები, რომლებიც უკუბეების განაკვეთებზე დაფუძნებული ტრადიციული მიდგომისათვის დამახასიათებელი სუსტი სტიმულების გაძლიერების მექანიზმებს ეძებენ



სტიმულებზე დაფუძნებული რეგულირება – დაკანონებული სტანდარტი

- ❖ (1) უმდაბლესი ფასით ენერგომომსახურების გამოსაყენებლად სტიმულების შემოღება;
- ❖ (2) სამართლიანი და მიზანშეწონილი ტარიფები;
- ❖ (3) უსაფრთხო და სანდო მომსახურება;
- ❖ (4) ინოვაციების და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების სტიმულები, რომლებიც მხარს უჭერენ ენერგეტიკის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას; მაგალითად, ვერმონთის ტერიტორიაზე არსებული განახლებადი წყაროების მეტად გამოყენებას და საწარმოთა ფინანსური წარმატების ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებლებზე რეალიზაციის მოცულობაზე დამოკიდებულების შემცირება და ასეთი რეალიზაციის მოცულობის დაცემის შემთხვევაში ფინანსური საფრთხეების თავიდან აცილებას;
- ❖ (5) მომსახურების ხარისხის, სანდოობის გაუმჯობესების და არჩევნის მრავალფეროვნების მხარდაჭერა;
- ❖ (6) ინოვაციების წახალისება;
- ❖ (7) რისკებისა და წახალისების გონივრულად დაბალანსებული სისტემა, რომელიც აიძულებს კომპანიებს იმოქმედონ რაც შეიძლება ეფექტურად მართვის საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის ხარჯზე; და
- ❖ (8) უკუგების სათანადო განაკვეთის მიღების საშუალება.



საკანონმდებლო მოთხოვნა (გაგრძელება)

- ❖ კერძო საწარმოებისთვის, სტიმულებზე დაფუძნებული რეგულირება აგრეთვე
 - არ უნდა ახდენდეს უარყოფით ზეგავლენას ელექტროკომპანიის ვალდებულებებზე აწარმოოს ტარიფების რეგულირებაზე დაფუძნებული საბუღალტრო აღრიცხვა ზოგადად მიღებული საბუღალტრო სტანდარტების შესაბამისად, თუკი ეს კომპანიას მოეთხოვება; და
 - გონივრულობის ფარგლებში, უნდა უნარჩუნებდეს მას საკუთარი და ნასესხები კაპიტალის რესურსებს მისთვის სარგებლიანი პირობებით.



სტიმულებზე დაფუძნებული რეგულირება – ვერმონთის გამოცდილება

- ❖ 2 ელექტრო და 1 გაზის საწარმო ამჟამად სწორედ ამ პრინციპებით რეგულირდება (მათ შორის ორი უდუდესი ელექტრო საწარმო)
 - სამივე გეგმის მოცვა შეზღუდულია
 - საბჭოს არ დაუსახავს კონკრეტული მიზნები, მაგრამ დაამტკიცა გეგმები, რომლებიც ამცირებენ ხარჯებს ტარიფების გადამხდელებისთვის და უქმნიან კომპანიებს დანახარჯების უკეთესად მართვის სტიმულებს
- ❖ 1-მა ელექტრო კოოპერატივმა წარმოადგინა სტიმულებზე დაფუძნებული რეგულირების გეგმა
- ❖ ტელეკომუნიკაციების ყველაზე დიდ პროვაიდერს სტიმულებზე დაფუძნებული რეგულირების დიდი ხნის ისტორია გააჩნია



სტიმულებზე დაფუძნებული რეგულირების გეგმების ძირითადი კომპონენტები ვერმონტში

❖ შემსყიდველობითი უნარი/გაზზე შესწორების მუხლი

- აძლევს საწარმოს უფრო სწრაფად (კვარტალურად) მოახდინოს რეაგირება გაზზე ან ელექტროენერგიაზე დაბახარჯების ცვლილებაზე
- ეს დანახარჯები, ჩვეულებრივ, საწარმოს მთლიანი დანახარჯების 60%-ს აღენატება, ხშირად კი გაცილებით მეტსაც შეადგენს

❖ შემოსავლების განაწილება

- შეუძლია დაიტოვოს ნებისმიერი შემოსავლები, რომლებიც დაშვებული უკუგების განაკვეთს აღემატება არა უმეტეს 75 საბაზისო პუნქტით
- შედეგად, საწარმოებს დანახარჯების შემცირების სტიმული უნდებათ



სხვა ძირითადი კომპონენტები

❖ დანაწილება

- დატვირთვების და მოხმარებელთა დონეების პროგნოზირება და ელექტროენერჯის ფასის შესწორებების დაკალიბრება დატვირთვის ცვლილებების შესაბამისად
- საწარმოს შემოსავლების მოხმარების მოცულობების ცვლილებაზე დამოკიდებულების შემცირება
- შედეგად, მცირდება საწარმოს მოტივაცია არ მოახდინოს ინვესტირება ისეთ ზომებში, რომლებიც გაყიდვების შემცირებას იწვევენ
- ამცირებს ენერგოეფექტურობის შესახებ ზრუნვის აუცილებლობას (თუმცა, ენერგოეფექტურობის საწარმო”ამ პროგრამებს ნებისმიერ შემთხვევაში ახორციელებს)



ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების წახალისება – შეღავათიანი ტარიფები

- ❖ ევროპაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების წახალისების მიზნით
- ❖ ტარიფი განსაზღვრავს განაკვეთებს (ჩვეულებრივ საბაზრო ფასებზე მაღლა), რომლითაც რეგულირებადი საწარმოები ენერჯის განახლებადი წყაროებისაგან ელექტროენერჯიას შეიძენენ



განახლებადი წყაროების განვითარების ხელშეწყობა

- ❖ ჩვეულებრივ, აშშ-ში იმ შედეგების მიღწევას, რომლებსაც შეღავათიანი ტარიფები იძლევა სხვა გზით ცდილობდნენ – განახლებადი პორტფოლიოს სტანდარტების (RPS) მეშვეობით
- ❖ ჩვეულებრივ, RPS-ები მოითხოვენ, რომ საწარმოს (ან შტატის) სიმძლავრეების გარკვეული ნაწილი ენერჯის განახლებადი წყაროების მეშვეობით იქნას უზრუნველყოფილი
- ❖ ამ შემთხვევაში სიმძლავრის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ კომპანიას ასეთი რესურსების შექმნის ვალდებულება ეკისრება
- ❖ აშშ-ში სულ უფრო ჩვეულებრივი მოვლენა ხდება
- ❖ მოთხოვნის დაკმაყოფილება განახლებადი წყაროებისგან განახლებადი ენერჯის სერტიფიკატის შექმნის გზით არის შესაძლებელი



განახლებადი წყაროები – ვერძონთის გამოცდილება

- ❖ 1980-იან წლებში ხდებოდა გენერაციის მცირე ობიექტების წახალისება; საწარმოებს მოეთხოვებოდათ, რომ ელექტროენერგია ამ წყაროებისგან შეესყიდათ გარკვეული პირობებით
- ❖ პროგრამა, რომელიც გენერაციის მცირე ობიექტებს ტარიფების გრძელვადიანი გარანტიების მიღების საშუალებას აზღვევდა – ისეთი განაკვეთებით, რომლებიც საბოლოოდ საბაზროზე მაღალი იყო
- ❖ 1991 წლის შემდეგ ახალი წყაროები არ შექმნილა



RPS ვერმონთ ში

- ❖ ამჟამად ვერმონთის კანონმდებლობა მოიცავს **RPS-ს**.
- ❖ ძალაში შევა 2013 წელს
- ❖ მოითხოვს ვერმონთის ყველა საწარმოსაგან, რომ 2005 წლის შემდეგ ნებისმიერი დამატებითი სიმძლავრეების უზრუნველყოფა განახლებადი წყაროების ხარჯზე განხორციელდეს
- ❖ შტატში ნებისმიერი ახალი განახლებადი წყაროს აშენებისათვის აუცილებელია საბჭოსგან დასტურის მიღება.



პროგრამა SPEED-ი

- ❖ პროგრამა **SPEED**-ი (ენერგეტიკის სფეროს საწარმოების მდგრადი ფასწარმოქმნის პრინციპების საფუძველზე განვითარება) შეიქმნა იმისათვის, რათა საწარმოებს ღ შ-ის გარეშეც ჰქონოდათ განახლებად წყაროებში ინვესტირების სტიმულები
- ❖ ვერმონტის **RPS**-ი ძალაში არ შედის, თუკი
 - საწარმოები (ერთობლივად) შეასრულებენ სიმძლავრეების ზრდის მოთხოვნებს 2005 წლის შემდეგ
 - და დატვირთვის სულ მცირე 5% განახლებადი წყაროების (**SPEED** რესურსების) მიერ იქნება დაკმაყოფილებული



SPEED-ი (გაგძელება)

- ❖ შარშან კანონმდებლება SPEED რესურსებთან დაკავშირებით ფასწარმოქმნის ორი ახალი დებულება დაამატეს
 - მცირე პროექტებისთვის, საბჭო ვალდებულია მისცეს ნება წყაროს გაყიდოს ელექტროენერგია გრძელვადიანი კონტრაქტის შესაბამისად საბჭოს მიერ განსაზღვრულ ფიქსირებულ ფასად, რომელიც საკმარისი იქნება SPEED რესურსის განვითარების ხელშეწყობისათვის და, ამავდროულად, შესაბამისობაში იქნება უმცირესი ფასით ენერგომომსახურების გაწევის პრინციპთან (ამავე კანონის ნაწილი 218c)
 - სხვა SPEED წყაროებისთვის, ხელი უნდა შეეწყოს გრძელვადიან კონტრაქტებს სტაბილური ფასებით. საბჭომ უნდა შეიმუშავოს სტანდარტული საკონტრაქტო ფასი, ან შემოიღოს მინიმუმის და მაქსიმუმის მოთხოვნები, ან ორივე ერთად SPEED რესურსებისთვის, რომელთა სიმძლავრე 1 მვტ-ს აღემატება. სტანდარტული საკონტრაქტო ფასის შემუშავებისას, საბჭომ მხედველობაში უნდა მიიღოს SPEED რესურსის განვითარების საჭიროება, უმცირესი ფასით ენერგომომსახურების გაწევის პრინციპი (ამავე კანონის ნაწილი 218c) და ზეგავლენა ელექტროენერგიის განაკვეთებზე.
 - ამჟამად საბჭო მუშაობს, რათა ამ ახალ პრინციპებთან შესაბამისობაში მოვიდეს



განახლებადი წყაროები

- ❖ **SPEED** მანდატის და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესში საბჭო ვალდებულია დაიცვას ბალანსი უმცირესი ფასით მომსახურების პრინციპსა და განახლებადი წყაროების გამოყენების ხელშეწყობის საჭიროებებს შორის
- ❖ აქამდე არ არსებობს რაიმე მსგავსი მანდატები შეღავათიანი ტარიფების გამოყენებასთან დაკავშირებით
- ❖ ადრინდელი, მცირე სიმძლავრეების პროგრამების გამოყენების გამოცდილების გამო ვერმონტი ფრთხილობს საბაზრო ფასებზე მაღალი ფასების გადახდის პრაქტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, თუ ეს სასურველი მიზნების მიღწევას ემსახურება (ამჟამადაც მიმდინარეობს საბაზროზე მაღალი ფასების გადახდა ზოგიერთი, 20 წლის წინ წამოწყებული პროექტისთვის)